



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 299
05/02/2018

ქალაქი ბათუმი

299-05-4-201802051046



შ.პ.ს „რომა“-ზე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის ანაზღაურების შესახებ

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 1 თებერვლის №337-05 მოხსენებითი ბარათით განიმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად 2017 წლის 24 მარტს შ.პ.ს „რომა“-სა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული №85 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს „რომა“-მ მოაწოდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას 333,33 ლარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკონდიტრო ნაწარმი, აღნიშნული თანხის 333,33 ლარის ჩარიცხვა ვერ განხორციელდა 2017 წელს, რის გამოც დარჩა დავალიანება შ.პ.ს „რომა“-ს მიმართ. მიმდინარე წელს, რომ განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ამისათვის საჭიროა გამოიცეს სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების კლების მუხლიდან.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 1 თებერვლის №337-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შ.პ.ს „რომა“-ზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 333,33 ლარის ანაზღაურება მოხდეს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) განახორციელის ქმედითი ღონისძიებები თანხის გადარიცხვის უზრუნველსაყოფად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

